თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 09.01.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. მანუჩარ ფანჩულიძე, 8. როლანდი მესხი, 9. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2. კობა კირკიტაძე,

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 9 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282400884, 08.01.2024 წ.).

   მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28240088, 08.01.2024 წ.).

   მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ (ბიუჯეტში აისახა ნაშთი).

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 4570.0 ათასი ლარით (გრანტი 1706.9 ათასი ლარი, ნაშთი -2863,9 ათასი ლარი) და შეადგენს 29923.0 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 4570.0 ათასი ლარით. 2024 წლის პირველი იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 2863,9 ათასი ლარი აისახა ბიუჯეტში (აქედან: მიმდინარე ვალდებულებებია 623,9 ათასი ლარი. გასანაწილებელი ნაშთია 2240,0 ათასი ლარი. გასანაწილებელი ნაშთიდან (2240,0 ათასი ლარი) 2000,0 ათასი ლარი არის 2024 წლის დეფიციტის თანხა, რომელიც წინასწარ იქნა მიღებული 2023 წლის 25 დეკემბრის N2324 განკარგულებით) .

სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე გამოიყო 1706.1 ათასი ლარი.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა საშემოსავლო ნაწილის პარალელურად 4570.0 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება გაიზარდა 40,0 ათასი ლარით.

გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 600.0 ათასი ლარით (აქედან წინა წლის ვალდებულებაა 10,6 ათასი ლარი).

წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დაფინანსება გაიზარდა -30.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა - 891.9 ათასი ლარით (აქედან წინა წლის ვალდებულებაა 561,3 ათასი ლარი).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 80,0 ათასი ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა, ასევე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა -122.0 ათასი ლარით (აქედან წინა წლის ვალდებულებაა 52,0 ათასი ლარი).

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 700.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები გაიზარდა 400.0 ათასი ლარით

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება 1706.1 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, გოჩა ვერულაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი